ტვინების ბრძოლა

საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025

U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

2	7	6	→15
9	5	1	→15
4	3	8	→15
↙15	↓15	↓15	↓15 ↘15

დარიგებულ მასალაზე თქვენ ხედავთ ე.წ. "**მაგიურ კვადრატს**". ერთ ნაწარმოებში პერსონაჟი ხედავს მაგიურ კვადრატს, რომელშიც **რამდენიმე უჯრა ცარიელია**, და მას **ადარებს იქსს**. დაწერეთ იქსი **იაპონური** სიტყვით.

პასუხი: სუდოკუ
კომენტარი: "მაგიური კვადრატის" პრინციპის მიხედვით, კვადრატში ჩაწერილი რიცხვების ჯამი ყოველ ხაზზე ერთი და იგივე უნდა იყოს. დარიგებულ მასალაზე გამოსახულ კვადრატში გამოსახულია რიცხვები 1-დან 9-ის ჩათვლით. თუ წარმოვიდგენთ, რომ რამდენიმე ველი ცარიელია, კვადრატი დაემსგავსება სუდოკუს ნაწილს.
წყარო: Rick Riordan "39 Clues: The Maze of Bones"

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ ფილმში, **ლონდონში** ჩასული **ამერიკელი** პერსონაჟი **განსხვავებული წესების** გამო ძლივს **გადაურჩება იქსს**. მარიამ წიკლაურის ლექსის მიხედვით, **შუქნიშნისთვის მთავარია**, რომ **არ მოხდეს იქსი**. დაწერეთ იქსი.

პასუხი: ავარია
ჩათვლა: აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: ამერიკაში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მანქანები სავალი გზის მარჯვენა მხარეს გადაადგილდებიან, ხოლო დიდ ბრიტანეთში კი მარცხენა მხარეს, რის გამოც ლონდონში ჩასულ პერსონაჟს მანქანის დაქოქვიდან მალევე კინაღამ ავარია შეემთხვევა. ლექსი ჟღერს ასე: "შუქნიშნისთვის მთავარია, რომ არ მოხდეს ავარია."
წყარო: The Union ; ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში, პერსონაჟს სამუშაოდ გაამწესებენ დეპარტამენტში, რომელიც **მიწისქვეშ** არის განთავსებული. საკუთარი **სიტუაციის** აღწერისას პერსონაჟი ახსენებს **იქსს**. იქსისგან **თავის**

დაზღვევის პროტოკოლი ითვალისწინებდა **ნესტოებთან სარკის მიტანასა** და **გაცხელებული რკინის კანზე დადებას**. დაწერეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ცოცხლად დამარხვა
კომენტარი: პერსონაჟს დღის უმეტესი ნაწილის მიწისქვეშ გატარება მოუწევს, რის გამოც თავის სიტუაციას ცოცხლად დამარხვას ადარებს. სანამ მედიცინა საგრძნობლად განვითარდებოდა, ხანდახან რთული იყო დადგენა, ნამდვილად გარდაიცვალა თუ არა ადამიანი, რის გამოც ხან სარკე მიჰქონდათ ნესტოსთან ორთქლის გამოჩენის მიზნით, ხან კი ცხელ რკინას ადებდნენ კანზე, რათა ადამიანის ცოცხლად დამარხვა აერიდებინათ.
წყარო: Jeanne DuPrau “The City of Ember”, ბმული

4. 5-ქულიანი შეკითხვა
კარლ ლუგერი, რომელიც **მე-19 და მე-20 საუკუნეების** მიჯნაზე **ვენის მერის** თანამდებობას იკავებდა, იყო ცნობილი **ანტისემიტი**. მას ეკუთვნოდა იდეა, ყველა **ებრაელი** შეეყარა **გემზე** და შემდეგ **ჩაეძირა**. დაასახელეთ **ადამიანი**, რომელზეც **დიდი გავლენა** იქონია კარლ ლუგერმა.

პასუხი: ადოლფ ჰიტლერი
კომენტარი: ჰიტლერიც ავსტრიაში დაიბადა, იყო ანტი-სემიტი და ასევე უკავშირდება მსგავსი ლეგენდა, თითქოს მან ნარკომანები შეკრიბა გემზე და შემდეგ ჩაძირა.
წყარო: Peter Watson - The Modern Mind

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი ქალაქის ადმინისტრაციამ, **სახიფათო ადგილას** განთავსებულ **მოედანთან**, **უსაფრთხოების** მიზნით დააყენა **რამდენიმე სპეციალური პირი**. ინტერნეტმომხმარებლმა იხუმრა, რომ **რომელიმეს** აუცილებლად უნდა **რქმეოდა ენი**. წინა წინადადების ერთ სიტყვაში ჩვენ ოთხი ასო გამოვტოვეთ. აღადგინეთ სიტყვა თავაპირველი ფორმით

პასუხი: ჰოლდენი
კომენტარი: ხუმრობა ალუზია იყო “თამაში ჭვავის ყანაშის” მთავარი პერსონაჟის, ჰოლდენის ოცნებაზე, რომ დაეჭირა და გადაერჩინა კლდის პირას ბავშვები. ხუმრობის თანახმად, უსაფრთხოების მიზნით განთავსებული პირებიდან ერთს მაინც უნდა რქმეოდა ჰოლდენი.
https://www.chita.ru/text/society/2020/01/10/71134358/
https://en.wikipedia.org/wiki/The_Catcher_in_the_Rye

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ცნობილ **ქართველ მომღერალს** მშობლებმა **არც თუ ისე გავრცელებული სახელი** დაარქვეს. ამ ფაქტს ემატება ისიც, რომ **მომღერლის დას** ერქვა **ჯულიეტა**, რითაც დასტურდება, რომ მშობლებს **იქსი უყვარდათ**. ვიდეოში, სადაც საუბარია **მწერლებსა** და **პოეტებზე**, რომლებმაც **ინგლისურ ენას** ახალი **სიტყვები შემატეს**, **ყველაზე მეტჯერ** სწორედ **იქსი** ჩნდება. დაწერეთ იქსით შეცვლილი **ადამიანი**.

პასუხი: უილიამ შექსპირი
კომენტარი: ცნობილი ქართველი მომღერლის, ჰამლეტ გონაშვილის დას ერქვა ჯულიეტა. ჰამლეტიც და ჯულიეტაც შექსპირის ცნობილი პერსონაჟების სახელებია, რაც გვაძლევს იმის

ფიქრის საფუძველს, რომ მშობლები ცნობილ დრამატურგს დიდ პატივს სცემდნენ. შექსპირმა არაერთი სიტყვა აჩუქა ინგლისურ ენას და ძლიერ გაამდიდრა ლექსიკონი.
წყარო: ბმული ; ბმული

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

დაასახელეთ **ცნობილი ადამიანი**, რომლის სახელი და გვარიც **დავფარეთ** დარიგებულ სახუმარო პოსტერზე.

პასუხი: ბილ გეიტსი
კომენტარი: მასალაზე ხედავთ ადამიანს, რომელიც, ასე ვთქვათ, "აყენებს ფანჯრებს". "Windows"-ი არის Microsoft-ის პროდუქტი, რომლის შემქმნელიცაა ბილ გეიტსი. სწორი პასუხია ბილ გეიტსი.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

სიტყვით "**ასეთი**" შეცვლილია **შვიდასოიანი სიტყვა**.
ერთი პერსონაჟი თავისი **არასახარბიელო** ოჯახური მდგომარეობის აღწერისას საუბრობს **მაცივარზე** და **მუცელზე**, და იქვე ახსენებს სიტყვას "**ასეთი**". გირჩევთ, **არ ჩააბაროთ** ასეთი ფურცელი. არამედ, დაწერეთ "**ასეთით**" შეცვლილი სიტყვა.

პასუხი: ცარიელი
კომენტარი: პერსონაჟის თქმით, მისი სიღარიბის ცალსახა მანიშნებელია ის ფაქტი, რომ მუცელიცა და მაცივარიც ცარიელი აქვს. პასუხის ფურცელზე უნდა დაგეწერათ სიტყვა "ცარიელი". კითხვის ავტორი გირჩევთ, რომ ცარიელი პასუხის ფურცლის ჩაბარების ნაცვლად ყოველთვის დაწეროთ რაიმე ვერსია.
წყარო: Sherman Alexie "The Absolutely True Diary of a Part-Time Indian"

9. 7-ქულიანი შეკითხვა
იქსით შეცვლილია ორი სიტყვა.

გინესის რეკორდსმენი სკოტ ბელი ამბობს, რომ **იქსზე** გავლა უფრო **მტკივნეულია**, ვიდრე ცხელ **ქვანახშირზე** ან გატეხილ **შუშაზე**. იქსებზე **ფილმიცაა** გადაღებული, რომლის მთავარი გმირებიც **მშენებლები** არიან, თუმცა შევხვდებით **ბეტმენსაც**. **არ გთხოვთ** იქსის **სრულად** დასახელებას. დაწერეთ **კომპანია**, რომელიც იქსში **ფიგურირებს**.

პასუხი: ლეგო
კომენტარი: ცნობილი ფაქტია, რომ ლეგოს ფიგურებზე ფეხის დაბიჯება ძალიან მტკივნეულია. "ლეგოს ფილმის" მთავარი პერსონაჟები მშენებლები არიან, რადგან ლეგოს აგურები სამშენებლო მასალას წარმოადგენს, თუმცა ფილმში ასევე ვხვდებით ლეგო ბეტმენსაც.
წყარო: ბმული

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში, მთავარი გმირი **12 მონაწილეს** გამოკეტავს **ერთ სივრცეში**, საიდანაც **თავი უნდა დააღწიონ**. **შეჯიბრს** გმირი **ადარებს იქსს**, ოღონდ **მშვილდ-ისრის** გარეშე. დაასახელეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: შიმშილის თამაშები
კომენტარი: შეჯიბრი კონცეპტუალურად წააგავს "შიმშილის თამაშებს", სადაც სპეციალურ სივრცეში განათავსებენ მონაწილეებს 12 რაიონიდან და ამ სივრცეს მხოლოდ გამარჯვებული დატოვებს.
წყარო: Chris Grabenstein "Escape from Mr. Lemoncello's Library"

11. 6-ქულიანი შეკითხვა
სიმბოლურია, რომ ერთი **მწერალი მეორე მსოფლიო ომში** მონაწილეობის შემდეგ, ცნობილი ხდება თავისი **ნაწარმოებით**, რომლის სახელშიც **ფიგურირებს თევზი**. დაასახელეთ ეს **მწერალი.**

პასუხი: ჯერომ სელინჯერი
კომენტარი: წიგნში "თამაში ჭვავის ყანაში" პროტაგონისტის ძმა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია. ის გამოსცემს წიგნს "დამალული ოქროს თევზი", რომელიც მას პოპულარობას მოუტანს. ამ პერსონაჟის ცხოვრება თვით წიგნის ავტორის მსგავსია, რადგან მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ სელინჯერს აღიარება მოუტანა წიგნმა "ბანანთევზას ამინდი".
https://en.wikipedia.org/wiki/J._D._Salinger
https://en.wikipedia.org/wiki/The_Catcher_in_the_Rye

12. 7-ქულიანი შეკითხვა
სერიალის ერთ ეპიზოდში მაშველი **არასწორად გადათარგმნის ავადმყოფის სიტყვებს** და ჰგონია, რომ მას **სახლში წასვლა** სჭირდება. დაწერეთ, რომელ სერიალზეა საუბარი.

პასუხი: ექიმი ჰაუსი
კომენტარი: ავადმყოფს სინამდვილეში არა სახლში წასვლა, არამედ ექიმი ჰაუსის ნახვა სურდა. "House" ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც სახლი.
წყარო: House S3E24

13. 5-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა]

სიმბოლურია, რომ ფოტოზე **ჩრდილოეთის ციალისა** და **ცხოველის** გარდა, შესაძლებელია **იქსის დანახვაც**. დაასახელეთ იქსი **სამი სიტყვით**, რომელთაგანაც **ორი ერთსა** და **იმავე ასოზე** იწყება.

პასუხი: დიდი დათვის თანავარსკვლავედი
კომენტარი: ფოტოზე ნათლად ვხედავთ დათვს და ჩრდილოეთის ციალს, თუმცა სიმბოლურია, რომ ნახსენები დიდი დათვი გადაღებული დიდი დათვის თანავარსკვლავედის ფონზე.
წყარო: https://rawrszn.com/p/brown-bear-photographed-under-ursa

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ინგლისურენოვან ნაწარმოებში, **ფილადელფიაში** მყოფი პერსონაჟი **ცნობილი ადამიანის 6-მეტრიან ქანდაკებას** მოიხსენიებს ისევე, როგორც ერთ **ევროპულ ღირსშესანიშნაობას**. დაასახელეთ ეს **ღირსშესანიშნაობა**.

პასუხი: ბიგ ბენი
კომენტარი: ფილადელფიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აშშ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა ბენჯამინ ფრანკლინი. პერსონაჟი ბენჯამინ ფრანკლინის გიგანტურ ქანდაკებას უწოდებს Big Ben-ს. Big Ben-ი ლონდონში მდებარე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა.
წყარო: Rick Riordan “39 Clues: The Maze of Bones”

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ყურადღება, შეკითხვაში **ცვლილებაა**.
ერთ ნაწარმოებში **კლასიკური მუსიკის** მოსმენისას პერსონაჟი აღტაცებით **ცაში ადის**, თითქოს **მეორით გაივსოო**. მეორეს **სახელი** ბერძნული მითოლოგიის **მზის ღმერთის**, **ჰელიოსის** პატივსაცემად ეწოდა. დაწერეთ სიტყვა, რომელიც კითხვის ტექსტში **“მეორეთი”** არის შეცვლილი.

პასუხი: ჰელიუმი
კომენტარი: ჰელიუმი ძალიან მსუბუქი აირია, რის გამოც მაგალითად ჰელიუმის ბუშტები ცაში მიფრინავენ. ჰელიუმის სახელი ჰელიოსიდან მოდის, ხოლო პერიოდულ სისტემაში ის მეორე ელემენტია, რაც განაპირობებდა შეცვლის პრინციპს.
წყარო: Rick Riordan “39 Clues: The Maze of Bones”